

**საგამოცდო საკითხები/ქვესაკითხები ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის
სტუდენტებისათვის კოსმეტიკურ-პარფიუმერიული საშუალებების
ტექნოლოგიებში**

- 1 კოსმეტიკური ნაკრებების რეცეპტურის შესწავლა/შედგენა და მომზადება.
- 2 სახის კოსმეტიკური ფხვიერი პუდრების, კომპაქტური პუდრების, რეცეპტურის შესწავლა/შედგენა და მომზადება. კეთილხარისხოვნების მაჩვენებლების განსაზღვრა, დაფასოება, შეფუთვა/მარკირება.
- 3 სახის კოსმეტიკური ფერუმარილის, ჩრდილების, რეცეპტურის შესწავლა/შედგენა და მომზადება. კეთილხარისხოვნების მაჩვენებლების განსაზღვრა, დაფასოება, შეფუთვა/მარკირება.
- 4 ლოსიონების რეცეპტურის შესწავლა/შედგენა მომზადება, კეთილხარისხოვნების მაჩვენებლების განსაზღვრა, დაფასოება, შეფუთვა/მარკირება.
- 5 სახის კანის (გამწმენდი, დამცავი, მკვებავი, მათეთრებელი) კოსმეტიკური მალამოების, კრემების რეცეპტურის შესწავლა/შედგენა და მომზადება, კეთილხარისხოვნების მაჩვენებლების განსაზღვრა, დაფასოება, შეფუთვა/ მარკირება.
- 6 სახის კანის (გამწმენდი, დამცავი, მკვებავი, მათეთრებელი) კოსმეტიკური კრემსაპნების, გელების რეცეპტურის შესწავლა/შედგენა და მომზადება, კეთილხარისხოვნების მაჩვენებლების განსაზღვრა, დაფასოება, შეფუთვა/ მარკირება.
- 7 თმის მოვლის კოსმეტიკური საშუალებების (საპონი, შამპუნი, თმისა და თმის ძირების სამკურნალო/მკვებავი კრემი, თმის საღებავი) რეცეპტურის შედგენა და მომზადება.
- 8 ფრჩხილის მოვლის კოსმეტიკური საშუალებების რეცეპტურის შედგენა და მომზადება.
- 9 პარფიუმერიული კომპოზიცია. დახასიათება. შედგენის საფუძვლები.
- 10 პარფიუმერიული კომპოზიციის რეცეპტურა.
- 11 პარფიუმერიული სითხეების ტექნოლოგია.

**ტიპობრივი ტესტები ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისათვის
კოსმეტიკურ-პარფიუმერიული საშუალებების ტექნოლოგიებში**

1. ლოსიონის შემადგენლობაში, რომელი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერების შეტანისას მოამზადებთ სუსპენზიას?

ა) ქაფურის, ბ) მენტოლის, გ) თუთიის ოქსიდის, დ) თიმოლის.

2. რომელი მალამო მიეკუთვნება დისპერსიული სისტემის ტიპის მიხედვით ჰეტეროგენულს?

ა) მალამო-ხსნარი, ბ) მალამო-შენაღობი,

გ) ემულსიური მალამო, დ) ექსტრაქციული მალამო.

3. რა დანიშნულებით გამოიყენება ჰიგიენური მოქმედების კოსმეტიკური საშუალებები?

ა) კანის კორექციისთვის, ბ) კანის რეტუმირებისთვის,

გ) კანის სამკურნალოდ, დ) კანის კვებისთვის